

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030442805622514

04-137/ო

07 / მაისი / 2014 წ

„სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებელთათვის კომპიუტერული ტექნიკის დროებით სარგებლობაში გადაცემისა და სააგენტოს 2012 წლის 21 მაისის №04-327/ო ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N397 დადგენილებაში 2014 წლის 13 თებერვლის N158 დადგენილებით შეტანილი ცვლილებებით, „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტით (შემდგომში – პროგრამა) გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლებად, ოპერატორი კომპანიების ნაცვლად, განისაზღვრენ შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“ (შიდა ქართლის ზოგიერთი სოფლისთვის) და ფიზიკური პირები – სოფლის ექიმები და ექთნები. სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ბალანსზე რიცხული, სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გადმოცემული კომპიუტერული ტექნიკის (პორტატული კომპიუტერი და პრინტერი) ოპერატორი კომპანიებისაგან დაბრუნებისა და ახალი მიმწოდებელთათვის გადაცემის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართალი იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოთ სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრების უფროსებს:

ა) პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი ოპერატორი კომპანიებისაგან, ამ ბრძანების N1 დანართად წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დაიბრუნონ სააგენტოსაგან დროებით სარგებლობაში, თხოვნების ფორმით გადაცემული კომპიუტერული ტექნიკა (პორტატული კომპიუტერი და პრინტერი);

ბ) უზრუნველყონ პროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული მიმწოდებლებისათვის ოპერატორი კომპანიებისაგან დაბრუნებული კომპიუტერული ტექნიკის (პორტატული კომპიუტერი და პრინტერი) ინდივიდუალური მიღება-ჩაბარების აქტებით (წარმოდგენილია ამ ბრძანების N2 დანართით), თხოვნების სახით, დროებით სარგებლობაში გადაცემა;

გ) ამ პუნქტის „ა-ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გატარებული ზომების თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის სააგენტოს ლოჯისტიკისა (ზ. ჭანტურია) და ეკონომიკურ (გ. ბაქრაძე) დეპარტამენტებში წარმოდგენა, არაუგვიანეს 2014 წლის 1 ივნისისა.

2. სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრების უფროსებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, ამ ბრძანებით გათვალისწინებული დავალების შესრულებისათვის, სააგენტოს სახელით, ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტს (მათ შორის, ქონების დაბრუნებისა და გადაცემის მიღება-ჩაბარების აქტებს).

3. დაევალოს სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტს (ზ. ჭანტურია), საერთო კოორდინაცია და ზედამხედველობა გაუწიოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალსა და რეგიონალურ საკოორდინაციო ცენტრებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კომპიუტერული ტექნიკის დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე“ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 2012 წლის 21 მაისის 04-327/ო ბრძანება.


5. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სააგენტოს ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსმა, ზ. ჭანტურიამ

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ

ნოე ქინქლაძე

Handwritten signature in black ink, appearing to read "N. Kinkladze".

მიღება – ჩაბარების აქტი

„____“ „____“ 2014 წ.

ერთი მხრივ, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს _____
რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრი ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი
(შემდგომში – გამნათხოვრებელი), წარმოდგენილი მისი უფროსის _____
სახით და მეორე მხრივ, _____
(შემდგომში – მონათხოვრე), ვაფორმებთ მიღება – ჩაბარების აქტს მასზედ, რომ მონათხოვრემ
დაუბრუნა გამნათხოვრებელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში,
გამნათხოვრებლისაგან მისთვის დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში, გადაცემული ქვემოთ
მოცემული მახასიათებლების მქონე კომპიუტერული ტექნიკა:

„გამნათხოვრებელი“

„მონათხოვრე“

მაიდენტ.მონაცემები _____

მიღება – ჩაბარების აქტი

„_____“ „_____“ 2014 წ.

ერთი მხრივ, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს _____
რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრი ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი
(შემდგომში – გამნათხოვრებელი), წარმოდგენილი მისი უფროსის _____ სახით
 და მეორე მხრივ, „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება
 სოფლად“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი (შემდგომში –
 მიმწოდებელი) შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“ ან სოფლის ექიმი/ექთანი,
 წარმოდგენილი _____
 _____ (შემდგომში – მონათხოვრე),
 სახელი, გვარი, პირადი N, გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი
 ვაფორმებთ მიღება – ჩაბარების აქტს მასზედ, რომ გამნათხოვრებელმა გადასცა და მონათხოვრემ
 მიიღო:

„სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ეფექტური მომსახურების განხორციელების მიზნით, ამ
 პროგრამის მოქმედების ვადით, დროებით, უსასყიდლო სარგებლობაში შემდეგი კომპიუტერული
 ტექნიკა (ნივთი) _____

მახასიათებლები

გავეცანი, ჩემი როგორც მონათხოვრის უფლება/მოვალეობებს:

- ა) მონათხოვრეს არ შეუძლია ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს „სოფლის
 ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების
 რეალიზაციისათვის არის საჭირო;
- ბ) მონათხოვრეს უფლება აქვს ნივთი სარგებლობისათვის გადასცეს მხოლოდ მის მიერ
 დაკომპლექტებულ საექიმო და საექთნო პუნქტებში დასაქმებულ პერსონალს (მხოლოდ შპს „შიდა
 ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრისათვის“);
- გ) ნათხოვარი ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის მონათხოვრე პასუხს არ აგებს, თუკი ეს
 გამოწვეულია ნივთის შესატყვისი სარგებლობით (ცვეთა), სხვა შემთხვევაში,
 გამნათხოვრებლისათვის მიყენებულ ზიანს ანაზღაურებს მონათხოვრე, იმავე მახასიათებლების
 მქონე ნივთის ან მისი ღირებულების გამნათხოვრებლისათვის დაბრუნების გზით;
- დ) მონათხოვრე მოვალეა დააბრუნოს ნივთი გამიზნული სარგებლობისათვის საჭირო დროის
 გასვლის შემდეგ ან/და მასთან ვაფორმებული „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულებით
 გათვალისწინებული, ხელშეკრულების შეწყვეტის ნებისმიერი საფუძვლის წარმოშობისთანავე.

მხარეები გავეცანით წინამდებარე აქტით გათვალისწინებულ პირობებს რასაც ვადასტურებთ
 ხელმოწერით:

„გამნათხოვრებელი“

„მონათხოვრე“
